INTERNATIONAL MONETARY FUND
EXTERNAL RELATIONS DEPARTMENT

პრეს რელიზი № 09/83
გავრცელდეს დაუყოვნებლივ
24 მარტი, 2009

საერთაშორისო სავალუტო ფონდი
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი,
აშშ. 20431

სსფ-მ დაასრულა საქართველოს ეკონომიკური პროგრამის მეორე მიმოხილვა და ქვეყანას 186.6 მილიონი აშშ დოლარის სესხის აღების საშუალება მისცა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) დირექტორა საბჭომ დაასრულა საქართველოში სსფ-ს მხარდაჭერით მიმდინარე 18 თვიანი ეკონომიკური პროგრამის მეორე მიმოხილვა. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოსთვის 477.1 მილიონი SDR-ის გამოყოფას (რაც დღევანდელი კურსით არის 705 მილიონი აშშ დოლარი). ამ მიმოხილვის დასრულების შემდეგ საქართველოს აქვს უფლება ფონდისგან ისესხოს 126.2 მილიონი SDR (დღევანდელი კურსით დაახლოებით 186.6 მილლიონი აშშ დოლარი).

ეს პროგრამა 2008 წლის სექტემბერში დამტკიცდა (იხილეთ პრეს რელიზი Press Release No. 08/208) და მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერას, მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ზრდას და ქვეყნის მიმართ ინვესტორთა რწმენის განმტკიცებას.

აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ასევე დაასრულა მეოთხე მუხლის კონსულტაციები საქართველოსთან. ანგარიშის შედეგები გამოქვეყნდება საჯარო ინფორმაციის ფორმატით მოკლე ვადაში.

აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ საკითხის განხილვის დასასრულს, 2009 წლის 23 მარტს, სსფ-ს მმართველი დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ტაკატოში კატომ შემდეგი განცხადება გააკეთა:

“პროგრამის წინა მიმოხილვის შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური ვითარება შედარებით გართულდა, რადგან საქართველოზე გლობალური კრიზისის გავლენა აისახა. მნიშვნელოვნად შემცირდა ვაჭრობის მოცულობა და უცხო ქვეყნებიდან შემოსული ფულადი გზავნილები. საქონლის ფასები დაბალია. რეცესია და ვალუტის გაუფასურება მთავარ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ასუსტებს ნდობას ქვეყნის ეკონომიკის მიმართ და უარყოფითად მოქმედებს უცხოური კაპიტალის შემოდინებაზე და შესაბამისად, ქვეყნის

ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე. მთავრობა იმედოვნებს, რომ ეკონომიკური შენელების გავლენას გაანეიტრალებს დონორების მიერ დაფინანსებული ფისკალური სტიმულით და ხარჯების რეორიენტაციით ამჟამინდელ პრიორიტეტებზე.

სახელმწიფო ხარჯებისა და ხელმისაწვდომი საერთაშორისო დაფინანსების ურთიერთ შესაბამისობის მიზნით მთავრობამ შეამცირა 2009 წლის ბიუჯეტის დეფიციტი. სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალური ეფექტის უზრუნველსაყოფად საზოგადოების დიდ ნაწილზე და განსაკუთრებით ყველაზე უფრო გაჭირვებულ ფენაზე, სახელმწიფო ხარჯები გადანაწილდება ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებზე, რაც თავისმხრივ გაზრდის პროდუქტიულობას და მიზანმიმართულ სოციალურ დახმარებას. იგეგმება სახელმიფო ხარჯების რეფორმა.

ჩვენ მოვუწოდებთ სახელმწიფოს მთავრობას, ეკონომიკურ რეალობასთან მორგების მიზნით გამოიყენონ მონეტარული პოლიტიკის ყველა ინსტრუმენტი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთი და სარეზერვო მოთხოვნები. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ეროვნული ბანკის ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესება არის დროული და უნდა გაზარდოს საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის ეფექტურობა.

შემოღებული იქნა უცხოური ვალუტის გაცვლის აუქციონები, რაც თავისმხრივ ეროვნული ვალუტის მოქნილობის და გარეშე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ეს ნაბიჯი დაეხმარება საქართველოს ხელისუფლებას დაიცვას, ხოლო შემდგომ კი გაზარდოს ქვეყნის უცხოური ვალუტის რეზერვი.

ბანკების სასესხო პორტფელების გაუარესების ფონზე, ასევე კრედიტის შემცირების ნეგატიური გავლენის გამო ბანკების მომგებიანობაზე, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს საბანკო ზედამხედველობის გამართული მუშაობა. ამ მიზნით საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო აძლიერებს მოთხოვნებს კომერციული ბანკების მიმართ, მათი საინვესტიციო პორტფელის შეფასების საფუძველზე. მოხდება ბანკების სტრესების ანალიზი ფონდის მიერ გამოყოფილი ტექნიკური დახმარების მეშვეობით. ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გაზრდის დეპოზიტარების რწმენას და შეამცირებს შესაძლო სისტემურ რისკებს.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა შედგება არა მხოლოდ ამჟამინდელი კრიზისის დაძლევაზე მიმართული ღონისძიებებისგან, არამედ საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური აღმავლობის ხელშემწყობი გადაწყვეტილებებისგან. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას განაგრძონ წარმატებული რეფორმების განხორციელება და შეინარჩუნონ ფისკალური დისციპლინა და დაბალი ინფლაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, რათა გაუმჯობესდეს კერძო საინვესტიციო გარემო სავაჭრო სექტორისთვის, რაც ხელს შეუწყობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას და დასაქმების ზრდას" - აღნიშნა ბანტონმა კატომ.